ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4898910

ნომერი: AR1739165

თარიღი : 09.03.2020

გაცემის თარიღი : 17.03.2020

გაცნობის თარიღი : 17.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის , შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვ.25/1) ; ქალაქი თბილისი , ჯ. ბალანჩინის ქუჩის , მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ , (ნაკვეთი 09/173) ; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სიხარულიძე პ/ნ 01011042066
- თბილისი კახეთის გზატ. კორ. 21 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვ. 25/1), ჯ. ბალანჩინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ, (ნაკვეთი 09/173), დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, შპს "მარსლაიფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №009/538), I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (კვების ობიექტის) განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882020113224 19.02.2020წ. საკადასტრო კოდი №01.72.14.009.538, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვ. 25/1), ჯ. ბალანჩინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, გლდანი-დიღმის შემაერთებელი გზის მარჯვენა მხარეს, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ, (ნაკვეთი 09/173), დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, შპს "მარსლაიფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №009/538), I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (კვების ობიექტის) განთავსების შესაძლებლობას 1 (ერთი) წლის ვადით 2021 წლის 17 მარტის ჩათვლით.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.